



უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

„კორტევა აგრისაიენსი უკ ლტდ“
(Corteva Agriscience UK Ltd)

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი (EU) No. 2015/830 რეგულაციის შესაბამისად

პროდუქტის დასახელება: **GF-1387 2,4-დ 2-ეჰე EC ჰერბიციდი**
GF-1387 2,4-D 2-EHE EC Herbicide

განახლების თარიღი: 10.12.2020
ვერსია: 3.1
ბოლო გამოცემის თარიღი: 10.09.2019
დაბეჭდვის თარიღი: 12.07.2021

„კორტევა აგრისაიენსი უკ ლტდ“, მოგიწოდებთ და იმედოვნებს, რომ თქვენ სრულად წაიკითხავთ და გაიგებთ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელს, რადგან მთელი დოკუმენტი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მომხმარებლებს აწვდის სამუშაო ადგილზე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციას და ეხმარება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში. პროდუქტის მომხმარებლები და განმცხადებლები პირველ რიგში უნდა გაეცნონ პროდუქტის ეტიკეტს, რომელიც მიმაგრებულია ან თან ერთვის პროდუქტის ტარას.

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახელწოდება: GF-1387 2,4-დ 2-ეჰე EC ჰერბიციდი (GF-1387 2,4-D 2-EHE EC Herbicide)

1.2 ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

იდენტიფიცირებული გამოყენება: მცენარეთა დაცვის პროდუქტი ინსექტიციდი

1.3 უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

კომპანიის იდენტიფიკაცია

„კორტევა აგრისაიენსი უკ ლტდ“

CPC2 კეპიტალ პარკი

ფულბორნი კემბრიჯი - ინგლისი - CB21 5XE

გაერთიანებული სამეფო

Corteva Agriscience UK Ltd

CPC2 CAPITAL PARK

FULBOURN CAMBRIDGE - England - CB21 5XE

UNITED KINGDOM

საინფორმაციო სამსახურის ნომერი

: +44 8006 89 8899

ელ. ფოსტის მისამართი

: SDS@corteva.com

1.4 გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

24-საათიანი გადაუდებელი დახმარების ნომერი : +44 161 88 41235

ადგილობრივი გადაუდებელი დახმარების ნომერი : +44 161 88 41235

პარაგრაფი 2: საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

კანის გაღიზიანება – კატეგორია 2 – H315

კანის სენსიბილიზაცია – კატეგორია 1B - H317

მოკლევადიანი (მწვავე) ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისათვის – კატეგორია 1 - H400

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

2.2 ეტიკეტის ელემენტები:

ეტიკეტირება (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

საშიშროების აღმნიშვნელი პიქტოგრამები



სასიგნალო სიტყვა: გაფრთხილება

საფრთხის აღმნიშვნელი განცხადებები

- H315 იწვევს კანის გაღიზიანებას.
- H317 შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
- H410 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

გამაფრთხილებელი განცხადებები

- P280 გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი/დამცავი სპეცტანსაცმელი/თვალების დამცავი / სახის დამცავი საშუალებები.
- P302 + P352 კანზე მოხვედრისას: ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლით.
- P333 + P313 თუ კანის გაღიზიანება ან გამონაყარი გამოვლინდა: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/ დახმარება.
- P391 შეაგროვეთ დაღვრილი პროდუქტი.
- P501 შიგთავსის/ტარის უტილიზაცია განახორციელეთ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია

- EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.
- შეიცავს 2,4-დ-ს ესტერები; 2,4-დ (ISO)

2.3 სხვა რისკები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი

პარაგრაფი 3: შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.2 ნარევი

ეს პროდუქტი არის ნარევი.

CASRN / EC-No. / ინდექსის-No.	REACH რეგისტრაციის ნომერი	კონცენტრაცია	კომპონენტი	კლასიფიკაცია: რეგულაცია (EC) No 1272/2008
CASRN 1928-43-4 EC-No. 217-673-3 ინდექსის-No. 607-308-00-X	-	81.7%	2,4-დ-ს ესტერები	მწვავე ტოქ.-4 – H302 კანის სენს. - 1 - H317 წყლისათვის მწვავე –1 – H400 წყლისათვის ქრონიკული–1– H410
CASRN არ არის ხელმისაწვდომი EC-No. 310-194-1 ინდექსის-No.	01-2119457736-27	>= 3.0 - < 10.0 %	ნახშირწყალბადები, C14-C18, ნ-ალკანები, იზოალკანები, ციკლოურები, <2% არომატულები	ასპ. ტოქ. - 1 - H304

–	–	>= 3.0 - < 10.0 %	ბენზოლსულფონის მჟავას, 4-C10-14-ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები	კანის გაღ. - 2 - H315 თვალის დაზ. - 1 - H318 წყლისათვის ქრონიკული - 3 - H412
CASRN 90194-26-6 EC-No. 290-635-1 ინდექსის-No. –	01-2119487289-20	>= 3.0 - < 10.0 %	ეთილჰექსანოლი	მწვავე ტოქ. - 4 - H332 კანის გაღ. - 2 - H315 თვალის გაღ. - 1 - H319 STOT SE - 3 - H335
CASRN 94-75-7 EC-No. 202-361-1 ინდექსის-No. 607-039-00-8	–	>= 0.3 - < 1.0 %	2,4-დ (ISO)	მწვავე ტოქ. - 4 - H302 თვალის დაზ. - 1 - H318 კანის სენს. - 1 - H317 STOT SE - 3 - H335 წყლისათვის მწვავე -1 - H400 წყლისათვის ქრონიკული - 1 - H410

აღნიშნულ პროდუქტში არსებული, ზემოთ დასახელებული ნებისმიერი არაკლასიფიცირებული კომპონენტი, რომლისთვისაც მე-8 პარაგრაფში არ არის მითითებული არც ერთი ქვეყნის სპეციფიკური OEL მნიშვნელობა, განიხილება როგორც ნებაყოფილობით გამჟღავნებული კომპონენტი.

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

OEL-სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის დონე.

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1 პირველადი დახმარების ზომების აღწერა

ზოგადი რჩევები: პირველადი სამედიცინო დახმარების აღმომჩენმა პირებმა, ყურადღება უნდა მიაქციონ პირად უსაფრთხოებას და გამოიყენონ რეკომენდებული დამცავი სპეციალური (ქიმიური ნივთიერებებსაგან დამცავი ხელთათმანი, შხვევებისაგან დამცავი საშუალებები). შესაძლო შემთხვევებში არსებობის შემთხვევაში: იხილეთ მე-8 პარაგრაფში მითითებული ინდივიდუალური დაცვის სპეციფიკური საშუალებები.

ჩასუნთქვისას: გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე. თუ არ სუნთქავს მიმართეთ გადაუდებელი დახმარების ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, შემდეგ ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. პირით პირში სუნთქვისათვის გამოიყენეთ მასკის დამცავი საშუალება (ჯიბის ნიღაბი და ა.შ.). მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს.

კანზე მოხვედრისას: გაიხადეთ დაზინპურებული ტანსაცმელი. დაუყონებლივ ჩამოიბანეთ კანი დიდი რაოდენობის წყლით 15–20 წუთის განმავლობაში. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. გარეცხეთ ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე. ფეხსაცმელი და ტყავის სხვა საგნები, რომელთა დეკონტამინაცია შეუძლებელია, სათანადო წესების დაცვით უნდა იქნეს განადგურებული. სამუშაო ზონაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს უსაფრთხოების შხაპი.

თვალში მოხვედრისას: გახელილ მდგომარეობაში თვალები ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს, მოიხსენით პირველი 5 წუთის შემდეგ და გააგრძელეთ თვალების გამორეცხვა. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. სამუშაო ზონაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექსტრემალურ სიტუაციაში თვალების ამოსარეცხი შესაფარისი საშუალებები.

გადაყლაპვის შემთხვევაში: მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. თუ შეგიძლიათ ყლაპვა, მცირე ყლუპებით დალიეთ წყალი. არ გამოიწვიოთ პირდებინება ხელოვნურად

ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრის ან ექიმის მითითების გარეშე. უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი სიმპტომები და შედეგები, მწვავე და დაგვიანებული

პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებების (ზემოთ) და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და აუცილებელი სპეციალური მკურნალობის შესახებ მითითებების (ქვემოთ) გარდა, ნებისმიერი დამატებითი მნიშვნელოვანი სიმპტომი და ეფექტი აღწერილია მე-11 პარაგრაფში: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია.

4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება

მითითებები ექიმს: კანზე მოხვედრამ შეიძლება გაამწვაოს არსებული დერმატიტი. სპეციფიკური ანტიდოტი არ არსებობს. ზემოქმედების შედეგების მკურნალობა მიმართული უნდა იყოს სიმპტომების კონტროლსა და პაციენტის კლინიკურ მდგომარეობაზე. ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრში ან ექიმთან დარეკვისას, ან სამკურნალოდ წასვლისას, თან იქონიეთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი და თუ ხელმისაწვდომია, პროდუქტის ტარა ან ეტიკეტი.

პარაგრაფი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1 ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები: წყლის ნისლი ან გაფრქვეული წყლის სუსტი ნაკადი. მშრალი ქიმიური ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. ნახშირორჟანგის შემცველი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. ქაფი. თუ ხელმისაწვდომია, უმჯობესია ზოგადი დანიშნულების სინთეზური ქაფების (AFFF ტიპის ჩათვლით) ან ცილოვანი ქაფების გამოყენება, შეიძლება გამოდგეს სპირტის მიმართ მედეგი ქაფები (ATC ტიპის). წყლის ნისლი, ფრთხილად დაფენილი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამცავი შრე ხანძრის ჩასაქრობად.

ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები: არ გამოიყენოთ წყლის პირდაპირი ნაკადი. შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლის გაავრცელება.

5.2 ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

საშიში წვის პროდუქტები: ხანძრის დროს წარმოქმნილი კვამლი საწყის პროდუქტთან ერთად შეიძლება შეიცავდეს განსხვავებული შემადგენლობის წვის პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება იყოს ტოქსიკური და/ან გამაღიზიანებელი. წვის პროდუქტები სხვა დანარჩენ ნივთიერებებთან ერთად შეიძლება შეიცავდეს: ქლორწყალბადს. ნახშირორჟანგს, ნახშირორჟანგს.

ხანძრისა და აფეთქების იშვიათი საფრთხეები:

ხანძრის პირობებში კონტეინერები შეიძლება გასკდეს აირის წარმოქმნის გამო. ცხელ სითხეებზე წყლის პირდაპირი ნაკადის გამოყენებისას შეიძლება მოხდეს ძლიერი ორთქლის წარმოქმნა ან ამოფრქვევა. პროდუქტის წვის შედეგად წარმოიქმნება სქელი კვამლი.

5.3 რეკომენდაციები მეხანძრეებისათვის

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები: ხალხი გაიყვანეთ ხანძრის კერიდან შორს. მოახდინეთ ხანძრის ზონის იზოლირება და ნუ შეხვალთ, თუ აუცილებელი არ არის. ხანძრის ზონაში მყოფი კონტეინერებისა და ხანძრის კერის გასაგრილებლად გამოიყენეთ წყლის ჭავლი, ხანძრის ჩაქრობამდე და ხელმეორედ აალების საფრთხის გასვლამდე. განიხილეთ ავტომატურად მომუშავე შლანგის დამჭერების ან გამაფრქვეველი ლულების გამოყენება. სავენტილაციო დამცავი მოწყობილობიდან ხმის მომატების ან პროდუქტის ტარის გაუფერულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაიყვანეთ მთელი პერსონალი ზონიდან. არ გამოიყენოთ წყლის პირდაპირი ნაკადი. შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლის გაავრცელება. დაუზიანებელი კონტეინერები გაიტანეთ ხანძრის ზონიდან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. პერსონალის დაცვისა და ქონებრივი ზიანის შემცირების მიზნით, აალებული სითხეების გადაადგილება შესაძლებელია წყლის ჭავლის მეშვეობით. წყლის ნისლი, ფრთხილად დაფენილი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამცავი შრე ხანძრის ჩასაქრობად. შეაკავეთ ხანძარსაწინააღმდეგო წყლის გადინება, თუ ეს შესაძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეუძლია გარემოზე ზიანის მიყენება. გაეცანით ამ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის პარაგრაფებს: "ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრისას/დაფრქვევისას" და "ეკოლოგიური ინფორმაცია".

სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისათვის: გამოიყენეთ ავტონომიური სასუნთქი აპარატი (SCBA) დადებითი წნევით და ხანძარსაწინააღმდეგო დამცავი სპეცტანსაცმელი (მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო ჩაფხუტს, ქურთუკს, შარვალს, ჩექმებს და ხელთათმანს). ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების შესრულებისას მოერიდეთ პროდუქტთან შეხებას. თუ არსებობს შეხების საფრთხე, ხანძარსაწინააღმდეგო დამცავი აღჭურვილობა შეცვალეთ სრული ქიმიურად მედეგი ხანძარსაწინააღმდეგო

კომბინიზონით და ავტონომიური სასუნთქი აპარატით. თუ ამგვარი დამცავი აღჭურვილობა არ არის ხელმისაწვდომი, ცეცხლი ჩააქრეთ დაცული ადგილიდან ან უსაფრთხო მანძილიდან. ხანძრის შემდგომი, ან უხანძრო დასუფთავების სამუშაოების ჩასატარებლად გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შესაბამის პარაგრაფებში.

პარაგრაფი 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1 პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები: მოახდინეთ ტერიტორიის იზოლირება. ზედმეტი და დაუცველი პერსონალი გაიყვანეთ ზონიდან. უსაფრთხო მოპყრობის, სიფრთხილის დამატებითი ზომებისთვის იხილეთ მე-7 პარაგრაფი, გამოყენება და შენახვა. გამოიყენეთ შესაბამისი დამცავი აღჭურვილობა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება.

6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები: არ დაუშვით ნიადაგში, თხრილებში, საკანალიზაციო სისტემებში, ზედაპირულ ან / და მიწისქვეშა წყლებში შეღწევა. იხილეთ მე-12 პარაგრაფი, ეკოლოგიური ინფორმაცია. ბუნებრივ წყალსადინარებში გაჟონვა ან ჩაღვრა სავარაუდოდ გამოიწვევს წყლის ორგანიზმების განადგურებას.

6.3 გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები: თუ შესაძლებელია შეაკავეთ დაღვრილი პროდუქტი. მცირე რაოდენობით დაღვრა: აბსორბირება მოახდინეთ ისეთი მასალებით, როგორცაა: თიხა. მიწა. ქვიშა. მოწმინდეთ. შეაგროვეთ შესაფერის და სათანადოდ მარკირებულ კონტეინერებში. მასშტაბური დაღვრა: დასუფთავებაში დახმარების მიზნით დაუკავშირდით შესაბამის კომპანიას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-13 პარაგრაფი, განკარგვა/უტილიზაცია

6.4 მითითება სხვა პარაგრაფებზე: იხილეთ პარაგრაფები: 7, 8, 11, 12 და 13.

პარაგრაფი 7: გამოყენება და შენახვის პირობები

7.1 სიფრთხილის ზომები გამოყენების დროს: შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. არ ჩაყლაპოთ. არ შეისუნთქოთ ორთქლი ან შხეფები. თავიდან აიცილეთ პრეპარატის თვალბრუნვა, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა. მთავრად კანთან ხანგრძლივ ან განმეორებით შეხებას. სრულად და საფუძვლიანად დაიბანეთ პროდუქტის გამოყენების შემდეგ. ტარა შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურული. გამოიყენეთ სათანადო განიავების პირობებში. იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით: შეინახეთ მშრალ ადგილზე შეინახეთ ქარხნულ შეფუთვაში. როდესაც არ იყენებთ, კონტეინერი შეინახეთ მჭიდროდ დახურულ მდგომარეობაში. არ შეინახოთ საკვებ პროდუქტებთან, ცხოველების საკვებთან, მედიკამენტებთან და სასმელი წყლის მარაგებთან ახლოს.

7.3 სპეციფიკური საბოლოო გამოყენება: იხილეთ პროდუქტის ეტიკეტი.

პარაგრაფი 8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1 კონტროლის პარამეტრები

არსებობს შემთხვევაში, ექსპოზიციის ზღვრები ჩამოთვლილია ქვემოთ. თუ ექსპოზიციის ზღვრები არ არის მითითებული, ამ შემთხვევაში მონაცემები არ გამოიყენება.

აღნიშნულ პარაგრაფში რეკომენდაციები განკუთვნილია წარმოებისთვის, კომერციულ შეზავებასა და შეფუთვაზე მომუშავეებისათვის. განმცხადებლები და მომხმარებლები სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებსა და სპეცტანსაცმლის შესახებ ინფორმაციას უნდა გაეცნონ პროდუქტის ეტიკეტზე.

8.2 ექსპოზიციის კონტროლი

შესაბამისი საინჟინრო კონტროლი: გამოიყენეთ ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია ან საინჟინრო კონტროლის სხვა საშუალებები, ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაციების ექსპოზიციის ზღვრის მოთხოვნებისა და ნორმების ქვემოთ შესაბამისად. თუ ექსპოზიციის ზღვრის მიმართ არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნები ან ნორმები, სამუშაოების უმეტესობისათვის საკმარისი უნდა იყოს საერთო ვენტილაცია. ზოგიერთი ოპერაციისათვის შეიძლება აუცილებელი იყოს

ადგილობრივი გამწოვი ვენტილაციის გამოყენება.

ინდივიდუალური დაცვის ზომები:

თვალის/სახის დაცვა: გამოიყენეთ ქიმიური დამცავი სათვალე. ქიმიური დამცავი სათვალე უნდა შეესაბამებოდეს EN 166 სტანდარტს ან ეკვივალენტურს.

კანის დაცვა:

ხელის დაცვა: გამოიყენეთ ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი ხელთათმანი, რომლებიც კლასიფიცირდება EN 374 სტანდარტით:

ქიმიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანები. დამცავი ხელთათმანის უპირატესად გამოყენებული მასალებია: ბუტილის რეზინი. ქლორირებული პოლიეთილენი. პოლიეთილენი. ეთილ ვინილის სპირტის ლამინირებული მასალა ("EVAL"). ხელთათმანის დასაშვები დამცავი მასალების მაგალითებია: ბუნებრივი რეზინი ("ლატექსი"). ნეოპრენი. ნიტრილის/ბუტადიენური კაუჩუკი/რეზინი ("ნიტრილი" ან "NBR"). პოლივინილქლორიდი ("PVC" ან "ვინილი"). ვიტონი. როდესაც გახანგრძლივებულ ან ხშირად განმეორებად კონტაქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რეკომენდებულია დაცვის მე-5 ან უფრო მაღალი კლასის ხელთათმანის გამოყენება (გაცვეთის დრო აღემატება 240 წუთს EN 374-ის შესაბამისად). როდესაც მოსალოდნელია მხოლოდ ხანმოკლე კონტაქტი, რეკომენდებულია ხელთათმანი დაცვის მე-3 კლასით ან მეტი (გარდევის დრო აღემატება 60 წუთს EN 374-ის შესაბამისად). მხოლოდ ხელთათმანის სისქე არ განსაზღვრავს ქიმიური ნივთიერებისგან ხელთათმანის სათანადო დაცვის დონის უზრუნველყოფას, ვინაიდან დაცვის ეს დონე ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ მასალის სპეციფიკურ შემადგენლობაზე, რომლისგანაც ხელთათმანი არის დამზადებული. ხელთათმანის სისქე, მოდელისა და მასალის ტიპის მიხედვით, როგორც წესი უნდა იყოს 0.35 მმ-ზე მეტი, რათა ნივთიერებასთან ხანგრძლივი და ხშირი კონტაქტის დროს უზრუნველყოს საფუძვლიანი დაცვა. როგორც ამ ზოგადი წესისგან გამონაკლისი, ცნობილია, რომ მრავალმრიან ლამინირებულ ხელთათმანს შეუძლია უზრუნველყოს ხანგრძლივი დაცვა 0.35 მმ-ზე ნაკლები სისქის დროს. 0.35 მმ-ზე ნაკლები სისქის ხელთათმანის სხვა მასალებს შეუძლიათ სათანადო დაცვის უზრუნველყოფა, როდესაც მხოლოდ ხანმოკლე კონტაქტი არის მოსალოდნელი. **შენიშვნა:** კონკრეტული მიზნით და სამუშაო ადგილზე გამოყენების ხანგრძლივობის მიხედვით სათანადო ხელთათმანის შერჩევას, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამის სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა: სხვა ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოიყენებული, ფიზიკური მოთხოვნები (გაჭრისგან/გახვრეტისგან დაცვა, მოხერხებულობა, თერმული დაცვა), ხელთათმანის მასალების მიმართ სხეულის შესაძლო რეაქციები, ასევე ხელთათმანის მოწოდებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციები / სპეციფიკაციები და სხვა.

დაცვის სხვა ზომები: გამოიყენეთ ამ პრეპარატის მიმართ ქიმიურად მედეგი სპეცტანსაცმელი. კონკრეტული ნივთის შერჩევა, როგორცაა სახის ფარი, ჩექმები, წინსაფარი ან კომბინიზონი, დამოკიდებული იქნება სამუშაოზე.

რესპირატორული დაცვა: რესპირატორული დაცვის საშუალებები გამოიყენება, როდესაც არსებობს ზემოქმედების/ექსპოზიციის დონის მოთხოვნების ან მითითებების პოტენციური გადაჭარბების შესაძლებლობა. თუ ექსპოზიციის დონის შესახებ არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნები ან მითითებები, რესპირატორული დაცვის საშუალებები გამოიყენეთ მაშინ, როდესაც შეინიშნება ისეთი არასასურველი ეფექტები, როგორებიცაა რესპირატორული გაღიზიანება ან დისკომფორტი, ან სადაც ეს მითითებულია თქვენი რისკის შეფასების პროცესში. უმეტეს შემთხვევაში რესპირატორული დაცვა არ არის საჭირო; თუმცა, თუ დისკომფორტს განიცდით, გამოიყენეთ აპრობირებული ჰაერის გამწმენდი რესპირატორი.

გამოიყენეთ CE აპრობირებული ჰაერის გამწმენდი რესპირატორი: ორგანული ნივთიერებების ორთქლის კარტრიჯი ნაწილაკების ფილტრით, ტიპის AP2 (EN 14387 სტანდარტის შესაბამისი).

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

გამოყენებისა და ნარჩენების გატანისას გარემოზე გადაჭარბებული ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად იხილეთ მე-7 პარაგრაფი : გამოყენება და შენახვა და მე-13 პარაგრაფი: განკარგვა/უტილიზაცია.

პარაგრაფი 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:

გარეგანი სახე	
ფიზიკური მდგომარეობა	სითხე
ფერი	ქარვისფერი
სუნი	მსუბუქი

სუნის ზღურბლი	ტესტის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
pH	3,9 1% pH ელექტროდი (1%-იანი სუსპენზია წყალში)
ლღობის ტემპერატურა/დიაპაზონი	არ გამოიყენება
გაყინვის ტემპერატურა	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
დუდილის ტემპერატურა (760 mmHg)	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აალების ტემპერატურა	დახურული ტიგელი. 126 °C <i>Pensky-Martens Closed Cup ASTM D 93</i>
აორთქლების სიჩქარე (ზუტილ აცეტატი=1)	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აალებაღობა (მყარი, გაზი)	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აფეთქების ქვედა ზღვარი	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აფეთქების ზედა ზღვარი	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის წნევა	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე (ჰაერი = 1)	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ფარდობითი სიმკვრივე (წყალი = 1)	1,1088 20 °C / 4 °C <i>პიკნომეტრი</i>
წყალში ხსნადობა	ემულსირებადი
განაწილების კოეფიციენტი	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ნ-ოქტანოლი / წყალი	
თვითაალების ტემპერატურა	275°C ტემპერატურის წრფივი ცლილება
დაშლის ტემპერატურა	ტესტის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
დინამიკური სიბლანტე	60.62 წმ.პა 20 °C –ზე
კინემატიკური სიბლანტე	54.67 წმ.სტ 20 °C –ზე
ფეთქებადი თვისებები	არ არის <i>EEC A14</i>
დამყანგავი თვისებები	არ არის მნიშვნელოვანი ზრდა (> 5C) ტემპერატურაზე. EPA OPPTS 830.6314 (დამყანგავი ან აღმდგენი მოქმედება)

9.2 დამატებითი ინფორმაცია

სითხის სიმკვრივე	1,1088 20 °C–ზე <i>პიკნომეტრი</i>
მოლეკულური მასა	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფიზიკური მონაცემები ტიპური მნიშვნელობებია და არ უნდა იქნეს წარმოჩენილი, როგორც ტექნიკური მახასიათებლები.

პარაგრაფი 10: მდგრადობა და რეაქტიულობა

- 10.1 რეაქტიულობა: არ კლასიფიცირდება, როგორც რეაქტიული საშიშროების მქონე.
- 10.2 ქიმიური მდგრადობა: ინსტრუქციების შესაბამისად, შენახვისა და გამოყენების დროს არ იშლება. სტაბილურია ნორმალურ პირობებში.
- 10.3 სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა: პოლიმერიზაცია არ მოხდება. საშიშროებაზე განსაკუთრებული მითითებები არ არის.
- 10.4 ასარიდებელი გარემოებები: მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტის დაშლა. დაშლის დროს აირების წარმოქმნამ შეიძლება გამოიწვიოს წნევა დახურულ სისტემებში. წნევის მომატება შეიძლება იყოს სწრაფი.
- 10.5 შეუთავსებელი მასალები: მოარიდეთ კონტაქტს: მჟავებთან. ფუძეებთან. დამყანგველებთან.
- 10.6 საშიში დაშლის პროდუქტები: დაშლის პროდუქტები დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ჰაერის მიწოდებასა და სხვა მასალების არსებობაზე. დაშლის პროდუქტები შეიძლება შეიცავდეს და არ შემოიფარგლება: ნახშირჟანგით, ნახშირორჟანგით,

ქლორწყალბადით.

პარაგრაფი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

ამ პარაგრაფში ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია წარმოდგენილია, როდესაც ასეთი მონაცემები არის ხელმისაწვდომი.

11.1 ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

მწვავე ტოქსიკურობა

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა

დაბალი ტოქსიკურობა გადაყლაპვის შემთხვევაში. გამოყენების სტანდარტული სამუშაოების დროს, მცირე რაოდენობის შეთხვევით გადაყლაპვისას, არასასურველი ეფექტები არ არის მოსალოდნელი. თუმცა, უფრო დიდი რაოდენობის გადაყლაპვამ შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება.

როგორც პროდუქტი: LD₅₀, ვირთაგვები, მდედრი > 3,129 მგ/კგ.

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

კანთან ხანგრძლივი კონტაქტი სავარაუდოდ არ გამოიწვევს საზიანო რაოდენობის შეწოვას.

როგორც პროდუქტი:

LD₅₀, ვირთაგვები, მამრი და მდედრი > 5,000 მგ/კგ.

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა

აეროზოლის ერთჯერადი ზემოქმედების შედეგად უარყოფითი ეფექტები არ არის მოსალოდნელი. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რესპირატორული გაღიზიანება არ დაფიქსირებულა.

როგორც პროდუქტი: LC₅₀, ვირთაგვები, მამრი და მდედრი, 4 საათი, მტვერი/აეროზოლი > 5.63 მგ/ლ.
ამ კონცენტრაციების დროს სიკვდილიანობა არ დაფიქსირებულა.

კანის კოროზია/ გაღიზიანება:

ხანმოკლე კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის საშუალო სიმძიმის გაღიზიანება ადგილობრივი სიწითლით. შეიძლება გამოიწვიოს კანის გამომშრობა და აქერცვლა.

თვალის სერიოზული დაზიანება / თვალის გაღიზიანება

შეიძლება გამოიწვიოს თვალის საშუალო სიმძიმის გაღიზიანება.
შეიძლება გამოიწვიოს რქოვანის მსუბუქი დაზიანება.

სენსიბილიზაცია

თაგვებში გამოავლინა კონტაქტური ალერგიის პოტენციალი.

რესპირატორული სენსიბილიზაციისთვის:
შესაბამისი მონაცემები არ არის მოძიებული.

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს სისტემური ტოქსიკურობა (ერთჯერადი ექსპოზიცია)

არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს მასალა არ არის STOT-SE ტოქსიკური.

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს სისტემური ტოქსიკურობა (განმეორებითი ექსპოზიცია)

უმნიშვნელო ინგრედიენტ(ებ)ისათვის:
ცხოველებში, ეფექტი დაფიქსირდა შემდეგ ორგანოებზე:
სისხლი.
თირკმელი.
ღვიძლი.
ელენთა
მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის:

არსებული მონაცემების საფუძველზე, დამატებითი მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტების გამომწვევი განმეორებითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

კანცეროგენული მოქმედება

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: 2,4-დ 2-ეთილჰექსილესტერი. ლაბორატორიულ ცხოველებში არ გამოუწვევია კიბო.

ტერატოგენური მოქმედება

ლაბორატორიულ ცხოველებზე ჩატარებულ ტესტებში ნაყოფის მიმართ იყო ტოქსიკური. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ეს დასკვნები ეხება ადამიანებს. ლაბორატორიულ ცხოველებში თანდაყოლილი დეფექტები არ გამოუწვევია.

უმნიშვნელო ინგრედიენტ(ებ)ისათვის: ლაბორატორიულ ცხოველებზე ჩატარებულ ტესტებში დედისთვის ტოქსიკური დოზები იყო ნაყოფის მიმართ ტოქსიკური. ლაბორატორიულ ცხოველებში მხოლოდ დედისთვის ტოქსიკურმა დოზებმა გამოიწვია თანდაყოლილი დეფექტები. ეს კონცენტრაციები აღემატება ადამიანისათვის შესაბამისი დოზების დონეს.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა

მსგავსი მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: 2,4-დიქლოროფენოქსიმმარმჟავა. ლაბორატორიულ ცხოველებში მშობლებისათვის ტოქსიკურმა ჭარბმა დოზებმა გამოიწვია წონისა და ნაშიერების სიცოცხლისუნარიანობის შემცირება.

მუტაგენური მოქმედება

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: in vitro (ცოცხალ ორგანიზმში) ჩატარებული გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო. ცხოველებზე გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

ასპირაციის საშიშროება

ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

პარაგრაფი 12: ეკოლოგიური ინფორმაცია

ეკოლოგიური ინფორმაცია ამ პარაგრაფში წარმოდგენილია, როდესაც ასეთი მონაცემები ხელმისაწვდომია.

12.1 ტოქსიკურობა

თევზების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისათვის:

LC₅₀, ცისარტყელა კალმახი (*Oncorhynchus mykiss*), 96 საათი > 100 მგ/ლ,

წყლის უხერხემლოების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

EC₅₀, წყლის რწყილი *Daphnia magna* იმობილიზაცია, 48 საათი, > 100 მგ/ლ

წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

პრეპარატი ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმების მიმართ (LC₅₀/EC₅₀/IC₅₀ <1 მგ /ლ ყველაზე მგრძობიარე სახეობებში).

როგორც პროდუქტი:

ErC₅₀, ლემნა (*duckweed*), 7 დღე, ზრდის სიჩქარის ინჰიბირება, > 3.09 მგ/ლ, ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით.

როგორც პროდუქტი:

ErC₅₀, ფრთაფოთოლა *Myriophyllum spicatum*, 14 დღე, 0.247 მგ/ლ

მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისათვის:

ErC₅₀, *Pseudokirchneriella subcapitata* (მწვანე წყალმცენარეები), 72 საათი, > 100 მგ/ლ

მიწისზედა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

როგორც პროდუქტი:

კონტაქტური LD₅₀, Apis mellifera (ფუტკრები), 48 საათი, > 200 მკგ/ფუტკარზე

როგორც პროდუქტი:

პერორალური LD₅₀, Apis mellifera (ფუტკრები), 48 საათი, > 200 მკგ/ფუტკარზე

ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

LC₅₀, Eisenia fetida (ჭიაყელები), 14 დღე, 830 მგ/კგ

12.2 მდგრადობა და დეგრადაციის უნარი

2.4-დ-ესტერები

ბიოდეგრადაციის უნარი : OECD ტესტის მკაცრი მითითებების საფუძველზე, ეს ნივთიერება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც სრულად ბიოდეგრადირებადი. ამასთან, ეს შედეგები ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ნივთიერება არ განიცდის ბიოდეგრადაციას გარემოში.

10-დღიანი ინტერვალი: წარმატებული

ბიოდეგრადაცია: 77 %

ექსპოზიციის დრო: 29 დღე

მეთოდი: ტესტი OECD-ის 301B სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით.

ნახშირწყალბადები, C14-C18, ნ-ალკანები, იზოალკანები, ციკლურები, <2% არომატულები

ნივთიერება სწრაფად განიცდის ბიოდეგრადაციას. გადის სრულად ბიოდეგრადაციის OECD/EEC ტესტ(ებ)ს.

ბიოდეგრადაცია: 74 %

ექსპოზიციის დრო: 28 დღე

ბენზოლსულოფონის მკვას, 4-C10-14- ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები

ნივთიერება სწრაფად განიცდის ბიოდეგრადაციას. გადის სრულად ბიოდეგრადაციის OECD/EEC ტესტ(ებ)ს.

10-დღიანი ინტერვალი: წარმატებული

ბიოდეგრადაცია: 100 %

ექსპოზიციის დრო: 28 დღე

მეთოდი: ტესტი OECD-ის 301B სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით.

ეთილჰექსანოლი

ნივთიერება სწრაფად განიცდის ბიოდეგრადაციას. გადის სრულად ბიოდეგრადაციის OECD/EEC ტესტ(ებ)ს. საბოლოო ჯამში ნივთიერება განიცდის ბიოდეგრადაციას (აღწევს > 70% მინერალიზაციას ბუნებრივი ბიოდეგრადაციის OECD ტესტებში).

10-დღიანი ინტერვალი: არ გამოიყენება

ბიოდეგრადაცია: >95 %

ექსპოზიციის დრო: 5 დღე

მეთოდი: ტესტი OECD-ის 302B სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით.

10-დღიანი ინტერვალი: წარმატებული

ბიოდეგრადაცია: 68 %

ექსპოზიციის დრო: 17 დღე

მეთოდი: ტესტი OECD-ის 301B სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით.

2.4-დ (ISO)

ნივთიერება სწრაფად განიცდის ბიოდეგრადაციას. გადის სრულად ბიოდეგრადაციის OECD/EEC ტესტ(ებ)ს.

ბიოდეგრადაციის უნარი: არ გამოიყენება

10-დღიანი ინტერვალი: წარმატებული

ბიოდეგრადაცია: 99 %

ექსპოზიციის დრო: 28 დღე

მეთოდი: ტესტი OECD-ის 301F სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით.

ჟანგბადზე ქიმიური მოთხოვნილება: 1.09 მგ/მგ

ჟანგბადზე ბიოლოგიური მოთხოვნილება (BOD)

ინკუბაციის დრო	BOD
5 დღე	65 %
10 დღე	66 %
20 დღე	85 %

წყალში მდგრადობა (ნახევარდაშლის პერიოდი) : 2.2 - 3.6 დღე
 ნახევარდაშლის პერიოდი, 2-4 დღე, pH 5

ფოტოდეგრადაცია
 ატმოსფეროში ნახევრად დაშლის პერიოდი: 6 დღე

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი

2,4-დ-ესტერები

ბიოაკუმულაცია: მსგავსი აქტიური ნივთიერებ(ებ)ისათვის: 2,4-დიქლორფენოქსიმარმეჟავა.
 ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის დაბალი (BCF <100 ან Log Pow < 3).
 განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow): 0.83 20 °C-ზე გაზომილი
 ბიოკონცენტრაციის ფაქტორი (BCF): 10

ნახშირწყალბადები, C14-C18, ნ-ალკანები, იზოალკანები, ციკლურები, <2% არომატულები

ბიოაკუმულაცია: არსებითი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი.

ბენზოლსულფონის მჟავას, 4-C10-14- ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები

ბიოაკუმულაცია: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის საშუალო (BCF 100–3000 ან Log Pow 3– 5).
 განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow): 2.89
 ბიოკონცენტრაციის ფაქტორი (BCF): 2–1,000

ეთილჰექსანოლი

ბიოაკუმულაცია: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის საშუალო (BCF 100–3000 ან Log Pow 3– 5).
 განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow): 3.1 გაზომილი.

2,4-დ (ISO)

ბიოაკუმულაცია: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის დაბალი (BCF <100 ან Log Pow < 3).
 განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow): – 0.83 გაზომილი.
 ბიოკონცენტრაციის ფაქტორი (BCF): 10 თევზი 3 დღე

12.4 მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

2,4-დ-ესტერები

ნიადაგში ძალიან სწრაფი დაშლის გამო სორბციის შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემების გაანგარიშება შეუძლებელია.
 დაშლის პროდუქტისათვის:
 2,4-დიქლორფენოქსიმარმეჟავა.
 სავარაუდოდ, ნიადაგში საკმაოდ უძრავი იქნება (Koc > 5000).

ნახშირწყალბადები, C14-C18, ნ-ალკანები, იზოალკანები, ციკლურები, <2% არომატულები

შესაბამისი მონაცემები არ არის.

ბენზოლსულფონის მჟავას, 4-C10-14- ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები

შესაბამისი მონაცემები არ არის.

ეთილჰექსანოლი

ნიადაგში მობილურობის პოტენციალი არის დაბალი (Koc 500–2000).
 განაწილების კოეფიციენტი (Koc): 800 გაანგარიშებული.

2,4-დ (ISO)

ნიადაგში მობილურობის პოტენციალი არის ძალიან მაღალი (Koc 0–50).

განაწილების კოეფიციენტი (Koc): 5–212 გაზომილი.

12.5 PBT და vPvB შეფასების შედეგები

ეს ნივთიერება/ნარევი არ შეიცავს კომპონენტებს 0,1% ან უფრო მაღალი კონცენტრაციით, რომელიც კლასიფიცირდება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT) ან როგორც ძლიერ მდგრადი და ძლიერ ბიოაკუმულირებადი (vPvB).

12.6. სხვა არახელსაყრელი ეფექტები

2,4-დ-ესტერები

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლში წარმოდგენილ ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა ჩამონათვალში.

ნახშირწყალბადები, C14-C18, ნ-ალკანები, იზოალკანები, ციკლოურები, <2% არომატულები

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლში წარმოდგენილ ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა ჩამონათვალში.

ბენზოლსულფონის მკვავს, 4-C10-14- ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლში წარმოდგენილ ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა ჩამონათვალში.

ეთილჰექსანოლი

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლში წარმოდგენილ ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა ჩამონათვალში.

2,4-დ (ISO)

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლში წარმოდგენილ ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა ჩამონათვალში.

პარაგრაფი 13: განკარგვა / უტილიზაცია

13.1 ნარჩენების დამუშავების მეთოდები

თუ ნარჩენების ან / და ტარის უტილიზაცია შეუძლებელია პროდუქტის ეტიკეტის მითითებების შესაბამისად, მაშინ ამ მასალის განკარგვა უნდა მოხდეს ადგილობრივი ან რეგიონალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი წესებით. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ პროდუქტზე, იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. თვისებების ან ჩამონათვალის საფუძველზე იდენტიფიკაციის გამოყენება არ შეიძლება, თუ პრეპარატი გამოყენებულია, ან სხვა გზით არის დაბინძურებული. წარმოქმნილი მასალის ტოქსიკურობისა და ფიზიკური თვისებების შეფასება, ნარჩენების სწორად იდენტიფიკაციისა და უტილიზაციის მეთოდების მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა, წარმოადგენს ნარჩენების წარმოქმნელის პასუხისმგებლობას. თუ მოწოდებული პროდუქტი უკვე იქცა ნარჩენად, დაიცავით ყველა მოქმედი რეგიონალური, ეროვნული და ადგილობრივი კანონი.

ამ პრეპარატის შესაბამის ევროპის ნარჩენების კატალოგის (EWC) ჯგუფზე საბოლოო მიკუთვნება და აქედან გამომდინარე მისი სათანადო EWC კოდი, დამოკიდებულია მოცემული პრეპარატის გამოყენებაზე. დაუკავშირდით ნარჩენების უტილიზაციის უფლებამოსილ სამსახურებს.

პარაგრაფი 14: ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

კლასიფიკაცია საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტისათვის (ADR / RID):

- 14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: UN3082
- 14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე. N.O.S. (2,4-დ 2-ეთილჰექსილესტერი)

14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:	9
14.4 შეფუთვის ჯგუფი:	III
14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:	2,4-დ 2-ეთილჰექსილესტერი
14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:	საფრთხის საიდენტიფიკაციო ნომერი: 90

კლასიფიკაცია საზღვაო ტრანსპორტისთვის (IMO-IMDG):

14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:	UN3082
14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე. N.O.S. (2,4-დ 2-ეთილჰექსილესტერი)
14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:	9
14.4 შეფუთვის ჯგუფი:	III
14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:	2,4-დ 2-ეთილჰექსილესტერი
14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:	EmS: F-A, S-F
14.7 დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL 73/78 საერთაშორისო კონვენციის დანართის I ან II და IBC ან IGC კოდექსის შესაბამისად :	ნაყარი ტვირთების საოკეანო გადაზიდვამდე გაეცანით IMO რეგულაციებს.

კლასიფიკაცია საჰაერო ტრანსპორტისთვის (IATA/ICAO):

14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:	UN3082
14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე. N.O.S. (2,4-დ 2-ეთილჰექსილესტერი)
14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:	9
14.4 შეფუთვის ჯგუფი:	III
14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:	არ გამოიყენება
14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

დამატებითი ინფორმაცია:

საზღვაო დამაბინძურებლები, რომლებსაც ენიჭება გაეროს ნომერი 3077 და 3082, ერთჯერად ან კომბინირებულ შეფუთვაში შეიცავს სუფთა რაოდენობას სითხისთვის 5 ლ-ს ან ნაკლებს, ასევე ცალკეულ ან შიდა შეფუთვაში მყარი ნივთიერების სუფთა წონას 5 კგ-ს ან ნაკლებს, შეიძლება იყოს ტრანსპორტირებული, როგორც არასახიფათო ტვირთები, როგორც ეს მოცემულია IMDG კოდექსის 2.10.2.7 ნაწილში, სპეციალურ დებულებაში IATA A197 და სპეციალურ დებულებაში ADR / RID 375.

ეს ინფორმაცია არ არის განკუთვნილი მოცემულ პროდუქტთან დაკავშირებული ყველა სპეციფიკური მარეგულირებელი ან საექსპლუატაციო წესების/ინფორმაციის მოსაწოდებლად. ტრანსპორტირების კლასიფიკაცია შეიძლება შეიცვალოს კონტეინერის მოცულობის მიხედვით და რეგიონალური ან ქვეყნის განსხვავებული რეგულაციების გავლენით. სატრანსპორტო სისტემის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გაყიდვების ან მომხმარებელთა მომსახურების უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. გადამზიდავ ორგანიზაციას ევალება პროდუქტის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედი კანონის, დებულებისა და წესის დაცვა.

პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1 ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა

ეს პროდუქტი შეიცავს მხოლოდ იმ კომპონენტებს, რომლებიც წინასწარ იყო დარეგისტრირებული, დარეგისტრირდა, გათავისუფლდა რეგისტრაციიდან, ჩაითვალა რეგისტრირებულად ან არ ექვემდებარებოდა რეგისტრაციას (EC) 1907/2006 (REACH) რეგულაციის შესაბამისად. REACH რეგისტრაციის სტატუსის ზემოხსენებული მაჩვენებლები მოცემულია კეთილსინდისიერად და სარწმუნოა ზემოთ მითითებული ძალაში შესვლის თარიღიდან. თუმცა, არავითარი გარანტია, პირდაპირი ან ნაგულისხმევი არ არის მოცემული. მყიდველის/მომხმარებლის პასუხისმგებლობაა დარწმუნდეს, რომ მან

სწორად გაიგო ამ პროდუქტის მარეგულირებელი სტატუსი.

სევესო III: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012/18/EU დირექტივა სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული დიდი ავარიების მაღალი რისკების კონტროლის შესახებ.

მითითება რეგულაციაში: ნავთობპროდუქტები: (ა) გაზოლინი (ბენზინი) და ლიგროინი, (ბ) ნავთი (რეაქტიული საწვავის ჩათვლით), (გ) გაზოლილი (დიზელის საწვავის, საყოფაცხოვრებო თხევადი და მყარი საწვავი) (დ) მძიმე თხევადი საწვავი /მაზუთი, (ე) ალტერნატიული სახის საწვავი, რომელსაც (ა) - (დ) პუნქტებში მითითებული პროდუქტების მსგავსი დანიშნულება და აალებადობასა და ეკოლოგიურ საფრთხეებთან მიმართებაში ანალოგიური თვისებები აქვს.

ნომერი რეგულაციაში: 34

2,500 ტ

25,000 ტ

მითითება რეგულაციაში: ეკოლოგიური საფრთხეები

ნომერი რეგულაციაში: E1

100 ტ

200 ტ

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტის სწორად და უსაფრთხოდ გამოყენებისათვის გაეცანით პროდუქტის ეტიკეტზე მითითებულ დადგენილ პირობებს.

პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია

H-ფრაზების სრული ტექსტი მოცემულია მე-2 და მე-3 პარაგრაფებში.

- H302 მავნეა გადაყლაპვისას.
- H304 გადაყლაპვისას და სასუნთქ გზებში მოხვედრის შემთხვევაში შეიძლება იყოს სასიკვდილო.
- H315 იწვევს კანის გაღიზიანებას.
- H317 შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია
- H318 იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
- H319 იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
- H400 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
- H410 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.
- H412 მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

კლასიფიკაცია და პროცედურა, რომელიც გამოიყენება (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად ნარეგების კლასიფიკაციის დასადგენად.

- კანის გაღ. - 2 - H315 - ტექსტის მონაცემების საფუძველზე.
- კანის სენს. - 1B - H317 - ტექსტის მონაცემების საფუძველზე.
- წყლისათვის მწვავე- 1 - H400 - ტექსტის მონაცემების საფუძველზე.

განახლება (რედაქტირება)

საიდენტიფიკაციო ნომერი: /გამოცემის თარიღი: 10.12.2020 / ვერსია: 3.1
DAS კოდი: GF-1387

ამ დოკუმენტში ყველა ბოლოდროინდელი შესწორება აღნიშნულია ორმაგი მუქი ვერტიკალური ხაზით მარცხენა ზოლში.

შემოკლებული აღნიშვნები

Acute Tox.	მწვავე ტოქსიკურობა
Aquatic Acute	მოკლევადიანი (მწვავე) წყლის ორგანიზმების მიმართ საშიშროება
Aquatic Chronic	გრძელვადიანი (ქრონიკული) წყლის ორგანიზმების მიმართ საშიშროება
Asp. Tox.	ასპირაციული ტოქსიკურობა
Eye Dam.	თვალის დაზიანება

Eye Irrit.	თვალის გაღიზიანება
Skin Irrit.	კანის გაღიზიანება
Skin Sens.	კანის სენსიბილიზაცია
STOT SE	სპეციფიკური სამიზნე ორგანოს სისტემური ტოქსიკურობა – ერთჯერადი ექსპოზიცია

სხვა აბრევიატურების სრული ტექსტი

ADN - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების შიდა საწყალოსნო გზებით გადაზიდვის შესახებ; ADR - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ; AHC-სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების ავსტრალიური რეესტრი. ASTM - მასალების (ნივთიერებების) ტესტირების ამერიკული საზოგადოება; bw - სხეულის წონა; CLP - კლასიფიკაციის, ეტიკეტირების, შეფუთვის რეგულაცია; (EC) No 1272/2008 რეგულაცია; CMR - კანცეროგენი, მუტაგენი ან რეპროდუქციული ტოქსიკური ნივთიერება; DIN - გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის სტანდარტი; DSL - საყოფაცხოვრებო ნივთიერებების ჩამონათვალი (კანადა); ECHA - ევროპის ქიმიური პროდუქციის სააგენტო; EC-Number - ევროპული საზოგადოების ნომერი; ECx - ეფექტური კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია რეაქციის x%-თან; ELx - დატვირთვის სიდიდე, რომელიც დაკავშირებულია რეაქციის x%-თან; EmS - საგანგებო განრიგი. ENCS - არსებული და ახალი ქიმიური ნივთიერებები (იაპონია); ErCx - x% რეაქციასთან; GHS - (გაერთიანებული ერების) ქიმიური ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა; GLP- კარგი ლაბორატორიული პრაქტიკა; IARC - კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო; IATA - საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია; IBC - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კოდექსი დაუფასოებელი საშიში ქიმიური ტვირთების გადამზიდავი გემების მშენებლობისა და აღჭურვის შესახებ; IC50 - საშუალო მაინიმიზირებელი კონცენტრაცია; ICAO - სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; IECSC - ჩინეთში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; IMDG - საერთაშორისო საზღვაო სახიფათო ტვირთები; IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია; ISHL - კანონი საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (იაპონია); ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; KECI - კორეაში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; LC50 - სასიკვდილო კონცენტრაცია 50% საცდელი პოპულაციისათვის; LD50 - სასიკვდილო დოზა 50% საცდელი პოპულაციისათვის (საშუალო სასიკვდილო დოზა); MARPOL - საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; n.o.s. - სხვაგვარად მითითებული არ არის; NO(A)EC - დაუფიქსირებელი უარყოფითი (გვერდითი) ეფექტის კონცენტრაცია; NO(A)EL - დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების დონე; NOELR - დატვირთვის ნორმა შესამჩნევი ეფექტის არარსებობის შემთხვევაში; NZIoC - ახალი ზელანდიაში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; OPPTS - პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი; PBT - მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური ნივთიერება; PICCS - ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური ნაერთების ფილიპინური რეესტრი; (Q)SAR - (რადიონობრივი) სტრუქტურა-აქტივობის ურთიერთკავშირი; REACH - ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) 1907/2006 ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ. RID - სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარეგულაციო გადაზიდვასთან დაკავშირებული რეგულაციები; SADT - თვითდაჩქარებული დაშლის ტემპერატურა; SDS - უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი; SVHC - მაღალი რისკის შემცველი ნივთიერება; TCSI - ტაივანში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; TSCA - ტოქსიკური ნივთიერებების კონტროლის აქტი (შერთებული შტატები); UN - გაერთიანებული ერები; vPvB - ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი.

ინფორმაციის წყარო და ცნობები

აღნიშნული უსაფრთხოების ფურცელი მომზადებულია პროდუქციის მარეგულირებელი სამსახურებისა და რისკის კომუნიკაციების ჯგუფების მიერ, ჩვენი კომპანიის შიდა წყაროებით მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

„კორტევა აგრისაინსი უკ ლტდ“ მოუწოდებს თითოეულ მომხმარებელს ან ამ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მიმღებს, შეისწავლოს იგი ყურადღებით და მიმართონ სპეციალისტს, თუ ეს აუცილებელია ან მიზანშეწონილი, რათა გაითვალისწინონ და გააცნობიერონ ამ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული მონაცემები და პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხეები. დოკუმენტში არსებული ინფორმაცია მოწოდებულია კუთილსინდისიერად და სარწმუნოდ ჩაითვლება ზემოთ მითითებული ძალაში შესვლის თარიღიდან. მიუხედავად ამისა, არავითარი გარანტია, პირდაპირი თუ ნაგულისხმევი, არ არის მოცემული. მარეგულირებელი მოთხოვნები შიძლება შეიცვალოს და შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში. მყიდველის/მომხმარებლის პასუხისმგებლობა, დარწმუნდეს, რომ მისი ქმედებები შეესაბამება ყველა ფედერალურ, სახელმწიფო, რეგიონალურ თუ ადგილობრივ კანონებს. წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ პროდუქტზე, იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. რადგან პროდუქტის გამოყენების პირობები არ არის მწარმოებლის კონტროლის ქვეშ, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია, განსაზღვროს, თუ რა პირობებია საჭირო პროდუქტის უსაფრთხო გამოყენებისთვის. ისეთი ინფორმაციის, როგორცაა მწარმოებლის-სპეციფიკური (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები, წყაროების სიმრავლის გამო, ჩვენ არ ვართ და ვერ ვიქნებით

პასუხისმგებელი იმ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლებზე, რომლებიც მოპოვებულია ნებისმიერი ჩვენგან განსხვავებული წყაროდან. თუ თქვენ მოიპოვეთ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ნებისმიერი სხვა წყაროდან, ან თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენ მიერ მოპოვებული (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი არ არის უახლესი, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ყველაზე უახლესი ვერსიის მისაღებად.